

სსპი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

01.04.11. № 25

ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა
და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 9 მარტის № 22 ბრძანების თანახმად,
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის მზადების მიზნით,


ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ წარდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასების მიზნით ფაკულტეტებზე შეიქმნას კომისიები დანართი 1-ის თანახმად და დამტკიცდეს მათი რეგლამენტი (დანართი 2).
2. კომისიების თავმჯდომარეებად დაინიშნონ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.
3. აღნიშნულმა კომისიებმა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური შეფასება და მათი სრულყოფის წინადადებების შემუშავება უნივერსიტეტში თვითშეფასების მომზადების პროცესის ფარგლებში.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა (გ.ძიძიგური):
 - განახორციელოს კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი;
 - თითოეული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად გამოეყოს პასუხისმგებელი თანამშრომელი.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.


რექტორი >  ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე


ლ. კლიმიაშვილი 

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ქ. ქოქრაშვილი 

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელი

გ. ძიძიგური 

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე 